პროექტი

საქართველოს კანონი
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **115^2 მუხლის შენიშვნის მე-4 და მე-5 ნაწილები ამოღებულ იქნეს.**

2. **116-ე მუხლის შენიშვნის მე-5-მე-7 ნაწილები ამოღებულ იქნეს**.

3. **123-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილი ამოღებულ იქნეს.**

მუხლი 2

1. ის პირი, რომელსაც 2025 წლის 10 დეკემბრამდე ჩადენილი აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე ან/და 123-ე მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ერთჯერადად გათავისუფლდეს აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დადებული ადმინისტრაციული სახდელისგან – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისგან.
2. ის პირი, რომელსაც 2025 წლის 10 დეკემბრამდე ჩადენილი აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 45^1 ან/და 115^2 მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ერთჯერადად გათავისუფლდეს აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დადებული ადმინისტრაციული სახდელისგან – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისგან.
3. იმ პირს, რომელსაც 2025 წლის 10 დეკემბრამდე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეჩერებული აქვს მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობის ამოწურვის გამო, 2026 წლის 1 იანვრიდან აღუდგება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება და მართვის მოწმობას ხელახლა მიენიჭება 100 ქულა.

მუხლი 3

1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის უფლებამოსილების მქონე შესაბამისმა ორგანომ ან/და თანამდებობის პირმა ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისგან – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისგან გათავისუფლების საკითხი გადაწყვიტონ ამ კანონის შესაბამისად.

2. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირს ამავე ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისგან – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისგან – გასათავისუფლებლად არ მოეთხოვება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ორგანოს ან/და თანამდებობის პირისთვის მიმართვა.
3. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირების მიმართ ადმინისტრაციული სახდელისგან – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისგან – გათავისუფლება აღსრულდეს 2026 წლის 1 თებერვლამდე.
4. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს პირის ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული სახდელისგან – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისგან – გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისთანავე პირს აღუდგება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

მუხლი 4
ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დადებული ადმინისტრაციული სახდელისგან – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისგან გათავისუფლების მიუხედავად პირი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიჩნევა სახდელდადებულად.

მუხლი 5
ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიული პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენის შესახებ. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა დასაშვებია სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის (დინამიური-ნარკოლოგიური გამოკვლევის) დასკვნის წარდგენის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

მუხლი 6
1. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მართვის უფლების აღდგენისა და მართვის მოწმობაზე 100 ქულის მინიჭებისთვის პირს არ მოეთხოვება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის უფლებამოსილების მქონე შესაბამისი ორგანოსთვის ან/და თანამდებობის პირისთვის მიმართვა.
2. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის უფლებამოსილების მქონე შესაბამისმა ორგანომ ან/და თანამდებობის პირმა 2026

წლის 1 იანვრისთვის უზრუნველყოს მართვის უფლების აღდგენა და მართვის მოწმობაზე 100 ქულის მინიჭება.

მუხლი 7

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**